

BANNER

საზოგადოება

საყდრისის გადარჩენის საინიციატივო ჯგუფი კულტურის სამინისტროს მიმართავს



19:31 / 13.12.2014

საყდრისის გადარჩენის საინიციატივო ჯგუფი კულტურის სამინისტროს მიმართავს და იმ ბრძანებების გასაჯაროებას სთხოვს, რომლის საფუძველზეც კომპანია „არემჯიმ“ საყდრის-ყაჩაღიანის N1 სალიცენზიო უბანზე სამთო-მოპოვებითი სამუშაოები განაახლა.

საინიციატივო ჯგუფის წევრები, რომელიც შემადგენლობაში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ხელოვნებათმცოდნეები და მეცნიერები შედიან, აცხადებენ, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე სამართლებრივი დავა მიმდინარეობს და სასამართლო გადაწყვეტილებით, კომპანიის მიერ მადნისმოპოვებითი საქმიანობა შეჩერებულია. თუმცა მათივე თქმით, მიუხედავად სასამართლო გადაწყვეტილებისა, დღეს მაღაროს განადგურების პროცესი დაიწყეს.

საინიციატივო ჯგუფის წევრის, ლალი პერტენავას განმარტებით, საყდრისის მაღაროს კულტურული ძეგლის სტატუსთან დაკავშირებით სასამართლო დავა ორგანიზაცია

კვირის პოპულარული



ინტერვიუ



ალექსანდრე სკაკოვი: თუ საქართველოს მართლაც სურს აფხაზებისთვის ხელის გაწვდენა, რეალური ნაბიჯები უნდა გადადგას

11:28 / 15.12.2014

გამოკითხვა

უნდა დაბრუნდეს თუ არა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში?

დიახ

არა

მიჭირს პასუხის გაცემა

2015 წლის სამი ფავორიტი ზოდიაქოს ნიშანი და რიტუალი სურვილების ასასრულებლად
14:04 / 08.12.2014



პელმენების მომზადების ეს მარტივი მეთოდი აუცილებლად მოგეწონებათ
12:36 / 02.12.2014



გაიცანით ახალგაზრდა პრემიერი, მაგრამ არა ირაკლი ღარიბაშვილი
12:15 / 08.12.2014



ექოსკოპიის კაბინეტში მომხდარი საოცრებები - ფეხმძიმეები და მათი ახლობლები შოკში ჩააგდეს
19:54 / 02.12.2014

„მწვანე ალტერნატივას“, კულტურის სამინისტროსა და კომპანია „არემჯის“ შორის მიმდინარეობს. მისივე თქმით, პროცესი „მწვანე ალტერნატივამ“ მოიგო, თუმცა გადაწყვეტილება კულტურის სამინისტრომ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სხდომა, რომელზეც უნდა გადაწყდეს, რამდენად კანონიერად მოეხსნა საყდრისს კულტურული ძეგლის სტატუსი, 12 იანვარს არის ჩანიშნული.

ამასთან, საინიციატივო ჯგუფის წევრები განმარტავენ, რომ სადაო არ არის საყდრისის არქეოლოგიური ობიექტის სტატუსი, რომელიც მას განადგურებისგან იცავს.

საყდრისის გადარჩენის საინიციატივო ჯგუფის წევრები დარწმუნებულები არიან, რომ კულტურის სამინისტრომ და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საყდრისში სამუშაოების განახლების შესახებ გადაწყვეტილება პარასკევს საღამოს შეგნებულად მიიღეს.

„ხელისუფლება, წინამორბედის მსგავსად, აგრძელებს საზოგადოებისთვის მალულად, ქურდულად გადაწყვეტილების მიღებას. ამისთვის პარასკევი საღამო შეგნებულად იყო შერჩეული, რათა საზოგადოებას ვერ მოესწრო ახალი აქტის სასამართლოში გასაჩივრება“, - განაცხადა საინიციატივო ჯგუფის წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა.

მისივე თქმით, აღნიშნული დოკუმენტები დამალულია, ის არც სამინისტროს და არც სააგენტოს ვებგვერდზე იძებნება.

საინიატივო ჯგუფის წევრები ხვალ 11:00 საათზე კულტურის სამინისტროსთან აქციას გეგმავენ, საიდანაც კაზრეთში, საყდრის-ყაჩაღიანის ობიექტზე გადაინაცვლებენ.

„ვიკრიბებით კულტურის სამინისტროსთან, იმ ორგანიზაციასთან, რომელიც ამ შემთხვევაში ყველაზე დიდ დამნაშავედ მიგვაჩნია. ის არ ასრულებს საკუთარ მოვალეობას და არ ლობირებს ამ ქვეყნის კულტურას და საზოგადოებრივ ინტერესებს“, - აღნიშნა სოფო კილასონიამ.

საინიციატივო ჯგუფის წევრები მოუწოდებენ კულტურისა
და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ასევე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, დაუყონებლივ გაასაჯაროონ №03/266 და №2/271 ბრძანებები.

ხმის მიცემა | შედეგები

Face აქტივობა



„ივანიშვილს ანახეთ კიკეთში ჩაცხრილული ნიკუშას ვიდეო"
11:36 / 15.12.2014



„მე თქვენი გივია არ ვარ და არც თქვენ ხართ ჩემი თამაზია“
20:38 / 14.12.2014



„გლოვის დღე“ - სალომე ზურაბიშვილი
18:37 / 14.12.2014



„სადღაც ამერიკაში - Somewhere in the Americas



„ბოთლით გაგიხეთქავ თავს“ - დაძაბულობა ავიაციის სააგენტოში

18:18 / 10.12.2014

BANNER

თვის პოპულარული



„ყველამ გააზიარეთ!!! იქნებ არ განმეორდეს ეს საშინელება“

12:00 / 25.11.2014



კადრები კულუარებიდან: „ეკრანზე ჩამრთონ...

ამასთან, დაუყონებლივ შეჩერდეს კომპანია „არემჯის“ მიერ საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტზე სამუშაოები.

კომპანია „არემჯიმ“ საყდრის-ყაჩაღიანის N1 სალიცენზიო უბანზე სამთო-მოპოვებითი სამუშაოები განაახლა. კომპანიაში განმარტავენ, რომ სამუშაოები კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე დაიწყო.

Recommend 5

დაამატე კომენტარი

ასევე დაპოსტე Facebook-ზე

გამოაქვეყნე როგორც Natalia Ksovreli (შეცვლა) კომენტარი

Facebook-ის სოციალური ჩანართი

კატეგორიის სხვა სიახლეები



დღეს და ხვალ საქართველოში წვიმაა მოსალოდნელი

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დღეს და ხვალ სინოპტიკოსები ნალექს ელოდებიან.

09:21 / 15.12.2014

რატომ შეიშალა აშშ-ში მომუშავე ქართველი გოგონა და ვინ დაწვა მომვლელად მუშაობით აღებული ფული ეზოში

„იმედის კვირაში“ მაყურებელს აშშ-ში მცხოვრები ქართველების ყოფის შესახებ უამბეს.

- Где-то в Америке“

17:34 / 14.12.2014



„ასე თბილი, ასე ნაზი, დუტი მე არ მახსოვს“

13:11 / 14.12.2014



„დავშლით კახა მიქაიას კარავს, ძაღლებს პატრონს მოვუნახავთ და წამოვალთ“

12:35 / 14.12.2014



საყდრისი!!! გაიმარჯვეთ!!! - კახა კოჟორიძე

11:55 / 14.12.2014



ინგა გრიგოლია: „თუ არ გაინტერესებდათ, რა თავებს იხოცავდით მათი